ხელშეკრულება № 15
ინტერნეტ მოდემის შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი

28/07/ 2014წ

1. ხელშეკრულების მხარეები

ხელშეკრულების მხარეებს წარმოადგენენ:

ერთის მხრივ აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტი (გრანტი 30/25) (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოადგენილი მისი ადმინისტრაციის ხელმძღვანელ მერაბ ირაძის სახით და მეორეს მხრივ შპს „მაგნიკომი ქუთაისის 2/43 ოფისის ზედამხედველ მაია სულაძე(მინდობილობა 03.01.2014) სახით, (შემდგომში „მიმწოდებელი")

მხარეები შეთანხმდნენ შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი, ხელშეკრულების ობიექტი

2.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისგან მომსახურების შესყიდვა (ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით), კერძოდ, ინტერნეტ-მოდემის ქსელში ჩართვა და შემდგომი მომსახურების გაწევა.

2.2შესყიდვის ობიექტია:

CPV 32500000

1(ერთი) ცალი HUAWEI E 3531 – შესყიდვა.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 შესყიდვის ობიექტის ღირებულებაა:

3.1.1 ერთ ცალ HUAWEI E 3531- ინტერნეტ-მოდემის საფასური შეადგენს 65(სამოცდახუთი) ლარს.

3.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 65(სამოცდახუთი) ლარს.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტი არ გამოაელენს დეფექტებს და უპასუხებს შემსყიდველის მოთხოვნას.

4.2 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს არსებულ სტანდარტებს.

5. მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1 შესყიდვის ობიექტის (ინტერნეტ-მოდემის) მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების ხელმოწერიდან (ან განაცხადის (ზეპირი/წერილობითი)) და ანგარიშწორებიდან არაუგვიანეს 2 დღისა.

5.2 მიწოდების ადგილია მიმწოდებლის ოფისები.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტი (ინტერნეტ-მოდემის მომსახურება) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, რომელიც დასტურდება მხარეების წარმომადგენლების ხელმოწერებით.

7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება საქართველოს ეროვნულ ვალუტაში.

7.2 ანაზღაურება მოხდება შემდეგი წესით:

7.2.1. ინტერნეტ-მოდემის ქსელში ჩართვის ღირებულება ანაზღაურდება ნაღდი/უნაღდო ანგარიშწორებით.

7.2.2. გადასახადის გადახდა შესაძლებელია განხორციელდეს როგორც წინასწარი გადახდის ბარათების მეშვეობით, ასევე უნაღდო ანგარისწორებით მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

7.3 ანაზღაურების ადგილია ქალაქი თბილისი.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1 შემსყიდველს უფლება აქვს :

8.1.1 შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

8.1.2 რაიმე ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში, აცნობოს და მოთხოვოს მიმწოდებელს ნაკლის დაუყოვნებლივ გამოსწორება.

8.1.3 მოითხოვოს მიმწოდებელისგან ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.

8.2 შემსყიდველი ვალდებულია:

8.2.1 განახორციელოს მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

8.2.2 გადაიხადოს ყოველთვიური საabონენტო გადასახადი.

8.2.2 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

8.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

8.3.1 მოთხოვოს შემსყიდველს დამზადებული პროდუქციის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

8.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

8.4.1 უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულება.

8.4.2 შემსყიდველის მიერ წინასწარ ყოველთვიური საabონენტო გადასახადის გადახდის შემთხვევაში გაუწიოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება.

8.4.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პროცესში არსებული შეფერხების შესახებ აცნობოს შემსყიდველს.

8.4.4 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პროცესში რაიმე ნაკლის გამოვლენის შემთხვევაში, უზრუნველყოს მისი გამოსწორება დაუყოვნებლივ, შესაბამისი შეტყობინების (ზეპირი/წერილობითი) მიღების შემდეგ.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2 მხარეთა პასუხისმგებლობის განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. ფორს-მაჟორი

9.1 ხელშეკრულების პირობების დარღვევა ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

9.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

9.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

11. ხელშეკრულების გადასინჯვა

11.1 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის, გადასინჯვა შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.2 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება მისი საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

11.3 ამ ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაშია მხოლოდ იმ პირობით, თუ ის შედგენილია წერილობითი ფორმით და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებამდე.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

15. სხვა პირობები

15.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

15.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარმოუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლეთა გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

15.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობით და ჩაითვალოს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

15.4 ხელშეკრულების დანართი (არსებობის შემთხვევაში) წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

15.5 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

15.6 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი.

15.7 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

15.8 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

15.9 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

15.10 მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

15.11 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 2 თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

16. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

შემსყიდველი: ასსუ

მის: თამარ მეფის ქ. №59

სს

ა/ა GE98VT0500007..., ბანკის კოდი

საიდენტიფიკაციო კოდი 212693...

(დირექტორი) ასსუ რექტორის ...

მიმწოდებელი:

შპს „მაგთიკომი"

მისამართი – ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ.№5

საიდენტიფიკაციო კოდი 204876606

სს „ვითიბი ბანკი" ბანკის კოდი **UGEBGE22**

ა/ა **GE73VT6600000000423607**

ქუთაისი 2/43 ოფისის ზედამხედველი მაია ხულაძე